ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5428202

ნომერი: AR1824374

თარიღი : 29.04.2021

გაცემის თარიღი : 15.06.2021

გაცნობის თარიღი : 21.06.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სამგორის რაიონი , ნაკვეთი 04/030;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაკა ღუღუნიშვილი პ/ნ 01026011783
- თბილისი აკურის ქ. N 27

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 იანვრის № 5236186 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 29 აპრილს № AR1824374 განცხადებით მომართა მაკა ღუღუნიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 იანვრის № 5236186 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 იანვრის № 5236186 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონი (საკადასტრო კოდი: # 01.19.13.004.036; ფართობი: 91642 კვ.მ.) ავტო-მოტო სატრანსპორტო საშუალებების, საწვრთვნელი-საშეჯიბრო კომპლექსის მშენებლობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის №01.01203421 (07/12/2020 წ.) სპეციალური ზონალური ნებართვის საფუძველზე დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. დღეის მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2021 წლის 18 იანვრის № 5236186 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში განხლებული საკადასტრო მონაცემების დაფიქსირებას, ვინაიდან შეიცვალა მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი და ფართობი (ს/კ #01.19.13.004.044 ფართობი: 15587 კვ.მ).
შესაბამისად, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიაჩნია 021 წლის 29 აპრილს № AR1824374 განცხადების დაკმაყოფილება და ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 იანვრის № 5236186 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნას ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 იანვრის № 5236186 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო მონაცემები:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან_ საკადასტრო კოდი: 01.19.13.004.044; განცხადების ნომერი: N 882021320225 ; მომზადების თარიღი: 14/06/2021; ფართობი: 15587 კვ.მ.
- საკადასტრო გეგმა_ საკადასტრო კოდი: 01.19.13.004.044; განცხადების ნომერი: 882021320225; მომზადების თარიღი: 14/06/2021; ფართობი: 15587 კვ.მ.
-

- 2.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 იანვრის № 5236186 ბრძანებასთან ერთად.
- 3. წბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.